წერილის ნომერი: **18-01222932761**
თარიღი: **20/10/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01222793208
წერილის თარიღი:	06 ოქტომბერი, 2022
განმცხადებელი:	ქეთევან ბაბაჯანაშვილი
განაცხადის N	AR1922692
მისამართი	ქ. თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N48
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.11.17.006.958
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტი №5997512 თარიღი: 22 ივნისი, 2022
ფართობ(ებ)ი:	750.0
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს "ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტ"
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან და მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება.

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე

არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი; კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი №255 დადგენილების (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“, ,,ნ“; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5 მუხლები; 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი; 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 32-ე მუხლი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 1 ძირი ნერგი (იტალიური ფიჭვი) და ტერიტორიაზე არსებული 17 მწვანე ნარგავი (1 ძირი წნორი, 3 ძირი კაკალი, 1 ძირი თუთა, 6 ძირი იფანი, 6 ძირი იასამანი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალურ ფართობს (187.5 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, ხოლო ამგვარი გზით ნარჩუნდება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, მშენებლობის მიზნით, გასცეს საპროექტო კონტურში განთავსებული 1 ძირი მწვანე ნარგავ(ებ)ის (იფნის - N31(D=0-4 სმ)) ***იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და ინფორმაციული წერილით სამსახურს მომართავს გადარგვის დაწყებამდე ორი სამუშაო დღით ადრე.***

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებულ, ზეხმელ, ხმობად, დაავადებულ, წვერხმელ, ფაუტ, გადაბერებულ, ავარიულ მწვანე ნარგავებზე. ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი მწვანე ნარგავი ზეხმელია, მისი მოჭრით არ დაირღვევა მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური გასცემს 1 ძირი ნარგავ(ებ)ის (კაკლის - N42(D=28 სმ) ***მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და ჭრის დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე წერილობითი მომართვისას წარმოადგენს ხელშეკრულებას ნერგების შესყიდვის შესახებ და გასაშენებელი მცენარეების მოვლა-პატრონობის ვალდებულების შესრულების თაობაზე, პასუხისმგებელი პირის (ფიზიკური/ იურიდიული) მიერ გაცემულ წერილობით თანხმობას ან/და გაფორმებულ ხელშეკრულებას.***

დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე მოსაჭრელი/ გადასარგავი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება 1-ს; მისი (N46) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

გასათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების მოჭრის ანდა გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

სამსახურის პოზიცია 2 ძირი ნარგავის (წნორის - N6(D=48 სმ), (კაკლის - N42(D=28 სმ)) მოჭრასა და 8 ძირი მწვანე ნარგავ(ებ)ის (წნორის - N5(D=8-12 სმ); იასამნის - N7(D=0-4 სმ),

N10(D=0-4 სმ), N29(D=0-4 სმ); კაკლის - N11(D=22.0 სმ), N63(D=8.0 სმ); იფნის - N30(D=4-8 ს), N31(D=0-4 სმ)) იმავე ტერიტორიაზე გადარგვასთან დაკავშირებით ძალაში შევა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და მოჭრა/ გადარგვის დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობებს დაგეგმილი სამუშაოების დაწყების თარიღისა და დროის ინტერვალის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით. ამასთანავე, მითითებული წერილობითი მომართვის დროს წარმოადგენილი უნდა იყოს ხელშეკრულებას ნერგების შესყიდვის შესახებ და გასაშენებელი მცენარეების მოვლა-პატრონობის ვალდებულების შესრულების თაობაზე, პასუხისმგებელი პირის (ფიზიკური/ იურიდიული) მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა ან/და გაფორმებული ხელშეკრულებას.

აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

მწვანე ნარგავების გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, სამ თვეში ერთხელ, წერილობით, უნდა წარმოადგინოთ გადარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ასევე გაცნობებთ, რომ გევალებათ ზეხმელი/ხმობადი მოსაჭრელი ხეების სანაცვლოდ, ნებართვის მიღებიდან მცენარეთა განვითარების პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში თქვენსავე ტერიტორიაზე აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით საკომპენსაციო რგვა და დარგული მწვანე ნარგავების შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობა.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავის საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

ინფორმაციული

გაცნობებთ, რომ საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს შეძენილი მცენარის სახეობა, ზომა და **შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.**

საკომპენსაციო რგვის ფარგლებში გევალებათ **2 ძირი** ფოთლოვანი ან/და წიწვოვანი ნერგის (გარშემოწერილობა არანაკლებ 20 სანტიმეტრი) იმავე ტერიტორიაზე დარგვა.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი.

დასარგავი მცენარის სახეობები **(გარდა კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა)** უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგების დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. დარგული მწვანე ნარგავების 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში ნებართვის მიმღებს დაეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის- საკომპენსაციო რგვის განხორციელების ვალდებულება.

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი;

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-0122173939**
თარიღი: **22/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01221603877
წერილის თარიღი:	09 ივნისი, 2022
განმცხადებელი:	ქეთევან ბაბაჯანაშვილი
განაცხადის N	AR1895966
მისამართი	ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, IV ბ მ/რ, კორპუსი N45-ის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.11.17.006.958
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს "ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტ"
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა ფოტოსურათები ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ და ,,ი“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5 მუხლები; 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი; 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 32-ე მუხლი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, ხოლო ამგვარი გზით ნარჩუნდება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, მშენებლობის მიზნით, გასცეს საპროექტო კონტურში განთავსებული **7 ძირი** მწვანე ნარგავ(ებ)ის (ჭნორის - N5(D=8-12 სმ); იასამნის - N7(D=0-4 სმ), N10(D=0-4 სმ), N29(D=0-4 სმ); კაკლის - N11(D=22.0 სმ), N63(D=8.0 სმ); იფნის - N30(D=4-8 ს)) **იმავე ტერიტორიაზე** ***გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვას, გადარგვის საბოლოო ნებართვის მისაღებად.***

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებულ, ზეხმელ, ხმობად, დაავადებულ, წვერხმელ, ფაუტ, გადაბერებულ, ავარიულ მწვანე ნარგავებზე. ვინაიდან სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული **1 ძირი** მწვანე ნარგავი ხმობადია, მისი მოჭრით არ დაირღვევა მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური გასცემს მწვანე ნარგავების (ჭნორის - N6(D=48 სმ)) ***მოჭრის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც განმცხადებელი წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.***

ნებართვის მიღების შემდგომ განმცხადებელს ევალება საკომპენსაციო რგვის ფარგლებში **1 ძირი,** არანაკლებ 3,5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ან არანაკლებ 3.0 მ სიმაღლის წიწვოვანი ნერგის დარგვა (ნერგის გარეშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი). საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს იმავე საკადასტრო მიწაზე ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

დასარგავი მცენარის სახეობა (კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი სახეობის ხეების გარდა) უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ***საპროექტო ტერიტორიაზე 34 ძირი ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავის (N1, N2, N3, N4, N8, N9, N12, N13, N14, N15, N16, N17, N18, N19, N20, N21, N22, N23, N24, N25, N26, N27, N28, N39, N40, N62, N64, N65, N66, N67, N68, N69, N70, N71, აქედან 4 ძირი ჯანსაღი ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 12 სმ-ს)) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული ან ხდება შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გასათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების მოჭრის ანდა გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი


H
1



გამწვანების პროექტი

დოკ. № 2209-181 • თარიღი: 13.09.2022



მისამართი: **თბილისი, მუხიანის დასახლება, IVბ მ/რ, კორპუსი N45-ის მიმდებარედ**

საკადასტრო კოდი: 01.11.17.006.958

საპროექტო ტერიტორიის ფართობი: **750 მ²**

დადგენილი კ-3 კოეფიციენტი: **0.3**

საპროექტო გამწვანება: **273.4 მ²** (კ-3 = 0.4)

არსებული მცენარეები: **71** (შესანარჩუნებელი - 26, გადასარგავი - 8, მოსაჭრელი ხილკენკროვნები - 28, არაჯანსაღი სამშენებლო არეალში - 7, არაჯანსაღი სამშენებლო არეალს გარეთ - 2)

დასარგავი ნერგები: **1**

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: **2025 წ.**

მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი: **შპს "ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტ"**

მოვლა-პატრონობის ხანრგძლივობა: **3 წელი**

დამკვეთი: შპს "ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტ"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

ლევან გოშაძე _____ ექსპერტი

ემზარ შარია _____ დირექტორი

ნინო გოგოსაშვილი _____ არქიტექტორი

შპს "დემასო ვუდ 1" DEMASO WOOD 1 LTD 400331716

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი განკარგვა

ფორმატი A3

ჯანსაღი, ადგილზე შესანარჩუნებელი მცენარეები/მცენარეთა ჯგუფები*- 26

ცხრილი №1

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა (ძირი)
45	კომში (Cydonia oblonga)	1
43	ლეღვი (Ficus carica)	1
52	ვაშლი (Malus domestica)	1
41, 47, 59	ჭერამი (Prunus armeniaca)	3
44, 61	ტყემალი (Prunus cerasifera)	2
34, 38, 48-49, 58	ალუბალი (Prunus cerasus)	5
50, 53-54, 57	ქლიავი (Prunus domestica)	4
35-37	იასამანი (Syringa)	3
33, 51, 55-56	იფანი (Fraxinus excelsior)	4
60	თუთა (Morus)	1
32	კაკლის ხე (Juglans regia)	1

გადასარგავი მცენარეები/მცენარეთა ჯგუფები*- 8

ცხრილი №2

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა (ძირი)
7, 10, 29	იასამანი (Syringa)	3
30-31	იფანი (Fraxinus excelsior)	2
11, 63	კაკლის ხე (Juglans regia)	2
5	წნორი (Salix alba)	1

მოსაჭრელი ხილკენკროვნები - 28

ცხრილი №3

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა (ძირი)
64	შინდი (Cornus mas)	1
18, 67-68, 70	ლეღვი (Ficus carica)	4
71	ვაშლი (Malus domestica)	1
4	ჭერამი (Prunus armeniaca)	1
28, 69	ტყემალი (Prunus cerasifera)	2
19, 62, 65-66	ალუბალი (Prunus cerasus)	4
2-3, 12-13, 15, 20-26	ქლიავი (Prunus domestica)	12
8-9, 17	ვაზი (Vitis vinifera)	3

არაჯანსაღი მცენარეები სამშენებლო არეალში - 7

იგეგმება მოჭრა

ცხრილი №5

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა (ძირი)
27	ლეღვი (Ficus carica)	1
16, 39-40	ტყემალი (Prunus cerasifera)	3
1, 14	ალუბალი (Prunus cerasus)	2
6	წნორი (Salix alba)	1

არაჯანსაღი მცენარეები სამშენებლო არეალს გარეთ - 2

ცხრილი №6

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა (ძირი)
42	კაკლის ხე (Juglans regia)	1
46	ქლიავი (Prunus domestica)	1

***მცენარეთა ჯგუფი** - ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს მოზარდ ინდივიდთა ერთიანი ამონაყარი, რომელსაც ერთი ნომერი აქვს მინიჭებული და ნახაზებზე ერთ წერტილად არის დატანილი.

მცენარეთა განლაგება

მ 1:200



საპროექტო გამწვანება

საპროექტო შენობა

საპროექტო შენობის საძირკვლის 3 მეტრიანი ბუფერი

საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვარი

შენიშვნები:

- არსებულ მცენარეთა მონაცემები აღებულია შპს "დემასო ვუდის" N2204-761 საექსპერტო დასკვნიდან
- გამოყენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული და კარტოგრაფიული მასალა

დამკვეთი: შპს "ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტ"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

მცენარეთა საპროექტო განლაგება - გადასარგავი და დასარგავი მცენარეები

ფორმატი A3

შესანარჩუნებელი მცენარეები - 26

ცხრილი №7

პირობითი აღნიშვნა	№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან 10 სმ-ზე	რაოდენობა
ხილკენკროვნები				
	45	კომში (Cydonia oblonga)	10.2	1
	43	ლეღვი (Ficus carica)	4.8	1
	52	ვაშლი (Malus domestica)	5.4	1
	41	ჭერამი (Prunus armeniaca)	27	1
	47	ჭერამი (Prunus armeniaca)	10.5	1
	59	ჭერამი (Prunus armeniaca)	12.1	1
	44	ტყემალი (Prunus cerasifera)	9.6	1
	61	ტყემალი (Prunus cerasifera)	5.7	1
	34, 38	ალუბალი (Prunus cerasus)	0-4	2
	48-49, 58	ალუბალი (Prunus cerasus)	4-8	3
	50, 53	ქლიავი (Prunus domestica)	4-8	2
	54	ქლიავი (Prunus domestica)	15.9	1
	57	ქლიავი (Prunus domestica)	11.8	1
ბუჩქები				
	35-37	იასამანი (Syringa)	0-4	3
დიდ ვარჯიანი ხეები				
	33	იფანი (Fraxinus excelsior)	9.6	1
	51	იფანი (Fraxinus excelsior)	3.2	1
	55	იფანი (Fraxinus excelsior)	10.2	1
	56	იფანი (Fraxinus excelsior)	9.9	1
	60	თუთა (Morus)	8.6	1
	32	კაკლის ხე (Juglans regia)	4.8	1

გადასარგავი მცენარეები - 8

ცხრილი №8

პირობითი აღნიშვნა	№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან 10 სმ-ზე	რაოდენობა
	7, 10, 29	იასამანი (Syringa)	0-4	3
დიდ ვარჯიანი ხეები				
	30	იფანი (Fraxinus excelsior)	4-8	1
	31	იფანი (Fraxinus excelsior)	0-4	1
	11	კაკლის ხე (Juglans regia)	22.0	1
	63	კაკლის ხე (Juglans regia)	8.0	1
	5	წნორი (Salix alba)	8-12	1

დასარგავი მცენარეები - 1

ცხრილი №9

მცენარის დასახელება და პირობითი აღნიშვნა	რაოდენობა	ღეროს მინ. გარშემოწერილობა (სმ)	მინიმალური ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)	მახასიათებლები	დასურათება
იტალიური ფიქვი (Pinus pinea)	3	20-22	5	3	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	

გენგეგმა

მ 1:150



საპროექტო გამწვანება

საპროექტო შენობა

საპროექტო შენობის საძირკვლის 3 მეტრიანი ბუფერი

საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვარი

შენიშვნები:
- არსებულ მცენარეთა მონაცემები აღებულია შპს "დემასო ვუდის" N2204-761 საექსპერტო დასკვნიდან
- გამოყენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული და კარტოგრაფიული მასალა

დამკვეთი: შპს "ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტ"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

აქსონომეტიული ხედები

ფორმატი A3





დამკვეთი: შპს "ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტ"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

გამწვანების ფართობი: 273.4 მ^2 (კ-3 = 0.4)



შესანარჩუნებელი მცენარეები - 26

კომში (Cydonia oblonga) - 1
ლეღვი (Ficus carica) - 1
ვაშლი (Malus domestica) - 1
ჭერამი (Prunus armeniaca) - 3
ტყემალი (Prunus cerasifera) - 2
ალუბალი (Prunus cerasus) - 5
ქლიავი (Prunus domestica) - 4
იასამანი (Syringa) - 3
იფანი (Fraxinus excelsior) - 4
თუთა (Morus) - 1
კაკლის ხე (Juglans regia) - 1

გადასარგავი მცენარეები - 8

იასამანი (Syringa) - 3
იფანი (Fraxinus excelsior) - 2
კაკლის ხე (Juglans regia) - 2
წნორი (Salix alba) - 1

დასარგავი მცენარეები - 1

დასახელება	რაოდენობა	მინიმალური ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)	ღეროს მინ. გარშემოწე-რილობა (სმ)
იტალიური ფიჭვი (Pinus pinea)	1	5	3	20-22

საკადასტრო კოდი: 01.11.17.006.958
ნარგავების მოვლის ხანგძლივობა: დარგვიდან 3 წელი

ნარგავების მოვლა-პტრონობაზე პასუხისმგებელი:
შპს “ჯორჯიან ფროფერთი ინვესტმენტ”

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი - 2022 წ.
გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი - 2025 წ.

